



# საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

## შავი ზღვის აუზის ეკო მონიტორინგი

# შავი ზღვის აუზის ქვეყნებში გარემოს დაცვის ერთობლივი მონიტორინგი

პროექტის ნომერი: BSB-884

<https://bsbecomonitoring.net/>

პროექტი, „შავი ზღვის აუზის ქვეყნებში გარემოს დაცვის ერთობლივი მონიტორინგი“ მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზის ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების საერთო პრობლემების იდენტიფიცირებასა და მოგვარებას. პროექტი ემყარება შემდეგი ორგანიზაციების გამოცდილებებს: ACTORPUS- ის (კურდურის, ტექნოლოგიის, განათლებისა და განვითარების ასოციაცია - პლოვდის უნივერსიტეტი - სტრანჯა), ბუღარეთი; ღუნაის დელტას კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი, რუმინეთი; კავკასიის სომხეთის ფილიალის ოფისის რეგიონალური ცენტრი, სომხეთი და SABUKO - სამოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის, საქართველო.

პროექტის სამიზნე ადგილებია ეროვნული პარკი სტრანჯა, ბუღარეთი; ღუნაის დელტის ბიოსფერული რეზერვატი, რუმინეთი, დიდიჭანის ეროვნული პარკი, სომხეთი და კოლხეთის ეროვნული პარკი, საქართველოში. პროექტის გამოყოფილი დაფინანსება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივი ოპერატიული პროგრამის "შავი ზღვის აუზი 2014-2020" ფარგლებში შეადგენს 1 000 000 ევროს. პროექტის განხორციელება დაიწყო 2020 წლის მაისში და გაგრძელდება 2022 წლის ივნისამდე.

## PROJECT PARTNERS





**საბუკო - საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის:**

მის.: გ. სარაჯიშვილის 3ა, ქ. თბილისი, საქართველო  
ტელ: 0 32 290 74 93;  
ელ. ფოსტა: office@sabuko.org,  
ვებგვერდი: http://www.sabuko.org/

პროექტის ძირითადი მიზნებია, ეკოსისტემების ცვლილებების მოგვარება და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კვლევითი შესაძლებლობების შექმნა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით. მიზნების განსახორციელებლად შეიქმნება ტრანსსასაზღვრო ცენტრი, რომელიც ოთხ პარტნიორ ქვეყანაში მოემსახურება გარემოს ერთობლივ მონიტორინგს და ასევე შავი ზღვის აკვატორიაში დაცული ეკოსისტემების ეკოლოგიური სტატუსის კვლევას.

ცენტრი შექმნის თანამშრომლობის საფუძველს ოთხი ქვეყნის მეცნიერებს, მკვლევარებს, ადგილობრივ ინსტიტუტებს, გარემოსდაცვით ექსპერტებს შორის.

ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენებისა და შენარჩუნების მიზნით, შეიმუშავებენ საერთო მიდგომებს, მეთოდოლოგიებსა და მოდელებს.

პროექტის სახსრები მოხმარდება ცენტრის აღჭურვას თანამედროვე საშუალებებით, მათ შორის განახლებული ინფრასტრუქტურითა და ინფორმაციული სისტემებით, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მონაცემების მოპოვებასა და დამუშავებას სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი ეკოსისტემების ეკოლოგიური სტატუსის დასადგენად.

პროექტის ამბიციური ამოცანები მოიცავს უცნობი ტერიტორიების ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ინვაზიური სახეობების ერთობლივი მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებას.

პროექტის განხორციელების ფარგლებში, აგრეთვე გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის ონლაინ სისტემის დანერგვა, რომელიც მოპოვებული ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების პლატფორმას წარმოადგენს.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება კვლევის სპეციფიკური ტექნოლოგიები: გარემოს შეფასება დრონის გამოყენებით, მდინარის წყლისა და ჰაერის ხარისხის დისტანციური მონიტორინგის სისტემები და ამავედროულად შეიმუშავდება ინტერნეტზე დაფუძნებული ღრუბლოვანი სერვისი, რომელიც უკაბელო სენსორული ქსელებიდან ავტომატურად შეაგროვებს მონაცემებსა და ვიდეო მასალებს.

პროექტი შეესაბამება ევროკავშირის გრძელვადიან სტრატეგიას გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების პოპულარიზაციის, მდგრადი განვითარების მხარდაჭერისა და ეკომეგობრული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, კვლევის, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ზომების ყველაზე შესაფერისი კომბინაციის საშუალებით.



**„შავი ზღვის აუზის ერთობლივი სამოქმედო პროგრამა 2014-2020“**

საბუკო - საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საქართველო - კოლხეთის ეროვნული პარკი, 2021.

შავი ზღვის აუზის ერთობლივი სამოქმედო პროგრამა 2014-2020“ თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ სამემობლო ინსტრუმენტის პროგრამის (ENI) მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბუღარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.